პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი
24 ნოემბერი
1954 წელი
№ 94 (796)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1954 წლის 22 ნოემბერს ნიუ-იორკში უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აკადემიკოსი

ამხანაგი ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგია და მუშაკთა კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენლის ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. შეიქმნას ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები — მ. გ. პერვუხინი (თავმჯდომარე), ა. ა. გრომიკო, კ. პ. გორშენინი, ა. თ. გორკინი და მ. ა. იასნოვი.
2. ა. ი. ვიშინსკის ცხედარი გადმოსვენებულ იქნას მოსკოვს.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში

პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოში ჩამოყალიბდა ფიზკულტურისა და სპორტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში არჩეული არიან: მ. ლელაშვილი (თავმჯდომარე), ი. ჩოჩია, ლ. მაღლაფერიძე, ნ. სხირტლაძე, ბ. პაიჭაძე, გ. ძიძიგური, თ. ბაქრაძე, ვ. კინკაძე, ზ. მასუნოვა, რ. ხაბალაშვილი, ა. ზამბახიძე, გ. სამადაშვილი და ა. ახვლედიანი.

ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოს ევალება განაზოგადოს და პროფკავშირულ ფიზკულტურულ ორგანიზაციებში გაავრცელოს საბჭოთა სპორტის დადებითი გამოცდილება. საბჭომ თავის პირველ სხდომაზე მოისმინა თბილისში პროფკავშირული ორგანიზაციების ბაზების ზამთრის სეზონისათვის მზადების საკითხი. აღინიშნა, რომ ზოგიერთ სპორტსაზოგადოებათა („პიშჩევიკი", „ბურევესტნიკი", „უროჟაი", „ტრუდი", „მედიკი" და სხვ.) ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ბაზების ზამთრის სეზონისათვის მზადყოფნის საკითხს, რომელთა უმეტესობა შეკეთებას საჭიროებს, არ არიან უზრუნველყოფილი მაღალხარისხოვანი სპორტინვენტარით, სათბობით და სხვ. „პიშჩევიკის" სპორტდარბაზში შესაკეთებელია საშხაპეები და გასახდელები, განიცდიან სათბობისა და ინვენტარის ნაკლებობას. ანალოგიურ მდგომარეობაშია „ბურევესტნიკის" დარბაზიც.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საჭიდაო დარბაზის შეკეთება. ზამთარს მოუმზადებელი ხვდებიან აგრეთვე „ლოკომოტივისა" და თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის სპორტდარბაზები.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ თბილვაჭრობის სპეციალიზირებული მაღაზიები ხშირად განიცდიან სპორტინვენტარის ნაკლებობას. დაზიანებული ინვენტარი სპეციალური შემკეთებელი სახელოსნოს უქონლობის გამო ხშირად გამოუყენებელია.

საბჭომ აღნიშნული ნაკლოვანებანი აცნობა პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიიღო დადგენილება.

დავნერგოთ, განვავითაროთ ხალხური სპორტის სახეობები

ქართველი ხალხის ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ რომ სპორტის სხვადასხვა სახეობა მეტად კულტივირებული ყოფილა. ცხენოსნობა, ჭიდაობა, ლელობურთი, სროლა, მრავალნაირი მოძრავი თამაშობანი გამოყენებული იყო სამშობლოს დამცველთა ფიზიკურად აღზრდისათვის. სხვადასხვა დღეობებზე, ბრძოლის დაწყების წინ, იმართებოდა შეჯიბრებები, სადაც სპეციალურად დანიშნული ჯილდოს მოპოვებისათვის თავიანთ სიჩაუქეს ავლენდნენ ვაჟკაცები. მატიანემ შემოინახა მრავალი ცნობა, სადაც აღწერილია ასპარეზობები ყაბახში, ნიშანში სროლაში. ლელობურთში... განთქმული მხედრისა თუ მსროლელის სახელის მოპოვება ყველასათვის საამაყო იყო. ისინი საერთო პატივისცემით სარგებლობდნენ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გახდა შესაძლებელი ხალხური სპორტის სახეობათა ნამდვილი აღორძინება. ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ამ საქმის სპეციალისტების დიდი დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით ჯერ აღადგინა თამაშობათა საერთო სახე, შემდეგ დააზუსტა, დახვეწა, ძველის საფუძველზე შემუშავებულ იქნა ახალი წესები და დღეს ჩვენ გვაქვს ისეთი წარმტაცი თამაშობანი, როგორიცაა ცხენბურთი, ისინდი, ლელობურთი, ყაბახი...

რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ სპორტულ კალენდარში მტკიცედ დამკვიდრდა ტრადიციული შეჯიბრებები ხალხური სპორტის სახეობაში, გაიზარდა სექციებში მომეცადინეთა რიცხვი, საბჭოთა მშრომელები სიამოვნებით ესწრებიან შეჯიბრებებს.

დელისის იპოდრომზე გამართულ კოლმეურნე ცხენოსანთა ასპარეზობას მრავალი ათასი მაყურებელი დაესწრო, ასევე იყო ჩოხატაურში, სადაც ლელობურთელთა პირველობა ტარდებოდა და ქობულეთში—ქართული ჭიდაობის ფინალზე.

ხალხური სპორტისადმი ფართო მასების ასეთი ღრმა სიყვარულის მიუხედავად ჩვენი მუშაობის ამ დარგში დიდი ნაკლოვანებები გვაქვს. ამ ბოლო ხანებში, რატომღაც გახშირდა შეჯიბრებაზე არგამოცხადების შემთხვევები. რაიონი რომელსაც გუნდის გამოყვანის სრული შესაძლებლობა აქვს, შეჯიბრების დაწყების წინა დღეს სრულიად უპასუხისმგებლოდ აცხადებს უარს. ასე მოიქცა ლანჩხუთის ფიზკულტურის კომიტეტი. მცხეთას ქართულ ჭიდაობაში ყოველთვის გამოყავდა ძლიერი გუნდი, მაგრამ ახლა... რასაკვირველია, კომიტეტის თავმჯდომარეებს გასამართლებელი მიზეზები არ მოაკლდებათ, მაგრამ არც ერთი მათგანი მისაღები არ არის. აქ ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას, გულგრილობას, ხალხური სპორტის განვითარების დიდი მნიშვნელობის შეუფასებლობას. ზუსტად ასევე ითქმის ქობულეთის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შეჯიბრების დაწყების წინ მან „ნეიტრალური" სტადიონი მოითხოვა.

აღნიშნული რაიონების კომიტეტის თავმჯდომარეებს ავიწყდებათ, რომ ხალხური სპორტის სახეობებზე აღზრდილმა სპორტსმენებმა ბევრჯერ ასახელეს რესპუბლიკა. თავისუფალი ჭიდაობის ოსტატები მეკოკიშვილი, ბალავაძე, ცხენოსნები მაისაია, კანკია, კუპრეიშვილი ხალხურ სპორტში დახელოვდნენ და შემდეგ კლასიკურშიც ისახელეს თავი.

ამას წინათ ჩატარებულ „კოლმეურნის" რესპუბლიკურ პირველობას ცხენოსნობაში ბევრი ნაკლი ახასიათებდა. მონაწილე გუნდების უმრავლესობა ცუდად იყო მომზადებული. გუდაუთის რაიონის გუნდი, რომელიც უკანასკნელ წლებში წარმატებით გამოდიოდა, ამ შეჯიბრებაში უფერულად გამოვიდა. დედაქალაქის მაყურებლები გაკვირვებული დარჩნენ, როცა შეჯიბრების პროგრამაში ზუგდიდის გუნდი ვერ ამოიკითხეს, ხოლო ზოგიერთი ზუგდიდელი ცხენოსანი სოხუმის რაიონის გუნდში შეამჩნიეს.

კიდევ ბევრი ფაქტის მოყვანა შეიძლება, მაგრამ კმარა. ხალხური სპორტი მეტი პატივისცემის ღირსია და მისი დანერგვისა და გავრცელების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რესპუბლიკის რაიონებში ცხენოსნობის, ლელობურთის, ქართული ჭიდაობის სექციების ჩამოყალიბებისა და მათი ნორმალური მეცადინეობის ყველა პირობა უნდა შევქმნათ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ზონალურ და რესპუბლიკურ პირველობაში რაც შეიძლება ბევრი გუნდი მონაწილეობდეს, შეჯიბრებები ეწყობოდეს ყოველგვარი დამახინჯების გარეშე. ჩვენი ვალია გუნდებში მაღალი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლით აღვკვეთოთ შეჯიბრების დროს უხეშობა, საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელის გამოვლინება.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უნდა იმსჯელოს და სათანადო სასჯელი დაადოს იმ კომიტეტის თავმჯდომარეებს, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მაგრამ „ობიექტური" მიზეზების გამო შეჯიბრებებზე არ გამოჰყავთ გუნდები.

ხალხური სპორტის სახეობათა ფართო დანერგვით მშრომელთა ფართო მოსახლეობას კიდევ უფრო შევაყვარებთ სპორტს. კლასიკურ სახეობებთან ერთად მისი განვითარებით ჩვენ მივაღწევთ საერთო აღმავლობას, რომლისკენაც მოგვიწოდებენ სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

☆

XVI ჩემპიონატი

კრასნოდარი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). მესამე ტურში ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის რუდენკოს შეხვედრა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ზატულოვსკაიასთან. ნიმცოვიჩის დაცვაში ზატულოვსკაიამ მიღებული შეტევის მდგომარეობა კარგად გამოიყენა და ძლიერი იერიშით გამარჯვება მოიპოვა. ვოიცეკმა უნარიანად ისარგებლა გოლდბერგის შეცდომით და მოიგო პარტია. კაცკოვამ, მოჰყვა რა მალინოვას შეტევის ქვეშ, დამარცხება განიცადა. მესამედ დამარცხდა ბიგლოვა გურფინკელთან შეხვედრაში. ვოლპერტმა მოუგო ტოხომიროვას, ზვორიკინამ — ვაისბერგს.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ვოიცეკმა მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია ვაისბერგთან და გაიმარჯვა. ზატულოვსკაია თამაშის განუახლებლად დანებდა როოტარეს. ახალგაზრდა კაცკოვამ დამარცხა ოსტატი ივანტიევა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად მსოფლიო ჩემპიონი ბიკოვა ვოლპერტთან პარტიაში იძულებული აღმოჩნდა თავი დამარცხებულად ეცნო. გურფინკელმა მოუგო ტიხომიროვას, მეორე ტურიდან გადადებულ პარტიაში კაკაბაძე დამარცხდა ჩუდოვასთან, ბიგლოვა—ბიკოვასთან და გურფინკელი — ვოლპერტთან.

მეოთხე ტურში ახალი სიმძაფრით გაიმართა ბრძოლა. შეჯიბრების ლიდერმა ვოლპერტმა ენერგიული თამაშით მოუგო ვოიცეკს. პირველი დამარცხება მალინოვას მიაყენა ზატულოვსკაიამ. საინტერესო იყო ბიკოვას შეხვედრა კაცკოვასთან. ახალგაზრდა მოჭადრაკე დიდი აღფრთოვანებით იბრძოდა და გაიმარჯვა. ტიხომიროვამ მოუგო ბიგლოვას. კაკაბაძე-ივანტიევას პარტია ყაიმით დასრულდა.

ოთხი ტურის შემდეგ ლიდერია ვოლპერტი, რომელსაც 4 ქულა აქვს.

„კონეხო ბლანკოს" სასროლეთზე

კარაკასში გრძელდება მსოფლიო პირველობა სროლაში. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. ბოგდანოვი, ბ. პერებერინი, გ. კუპკო, სპორტის ოსტატები ვ. ბორისოვი და მ. იტკისი დაიკავეს პირველი ადგილი მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე ჩოქილა სროლაში. საბჭოთა სპორტსმენებმა 2.000 შესაძლებლიდან მოაგროვეს 1.958 ქულა.

◆

საბჭოთა სპორტსმენების მსოფლიო რეკორდები

◆

პირად პირველობაში გაიმარჯვა ა. ბოგდანოვმა, რომლის შედეგია 396 ქულა 400 შესაძლებლიდან, რაც ორი ქულით აღემატება ძველ მსოფლიო რეკორდს.

შეჯიბრების შემდეგ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ახალი წარმატება მოიპოვეს მცირეკალიბრიანი შაშხანიდან დგომელა სროლაში, სამივე მდგომარეობიდან სროლასა და „მორბენალ ირემზე" სროლაში.

საბჭოთა კავშირის გუნდმა გაიმარჯვა რა სამივე მდგომარეობიდან სროლაში, დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. პირად პირველობაში გაიმარჯვა ა. ბოგდანოვმა.

„მორბენალ ირემზე" სროლაში საბჭოთა გუნდმა მოაგროვა 857 ქულა და ორი ქულით გააუმჯობესა ძველი მსოფლიო რეკორდი. მსოფლიო ჩემპიონი გახდა ვ. რომანენკო (საბჭოთა კავშირი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

◆

საბჭოთა არმიის თასზე

სოფიაში ვასილ ლევსკის სტადიონზე დამთავრდა ბულგარეთის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ღონისძიება — საბჭოთა არმიის თასის გათამაშება ფეხბურთში.

შეჯიბრების ფინალში (თასი წლევანდლამდე გათამაშდა რვაჯერ) ერთმანეთს შეხვდნენ სოფიის გუნდები — ბულგარეთის ჩემპიონატში I–II ადგილზე გამოსული სახალხო არმიის ცენტრალური სახლისა და „უდარნიკის“ ფეხბურთელები. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით —2:1.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა საპატიო ჯილდო — საბჭოთა არმიის თასი.

მშვიდობისა და მეგობრობის ამანათრბენი

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში დაიწყო მშვიდობისა და მეგობრობის ამანათრბენი. სტარტზე, რომელიც სტარომესტის მოედანზე შედგა, 150 ათასმა მშრომელმა მოიყარა თავი. ისინი შეიკრიბნენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გახსნის აღსანიშნავად.

გასულ წელს ტრადიციულ ამანათრბენში, რომელიც ყოველწლიურად ეწყობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის აღსანიშნავად, მონაწილეობა მიიღო 2 მილიონ 720 ათასმა მშრომელმა. წელს იგი უფრო მრავალრიცხოვანი იყო.

მშვიდობისა და მეგობრობის ამანათრბენი ჩეხოსლოვაკელმა სპორტსმენებმა გაატარეს რა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 19 ნოემბერს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საზღვარზე საზეიმო ვითარებაში გადასცეს ამანათი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს.

სოფლის სპორტსმენები

ვარშავაში შედგა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მთავარი კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სპორტის განვითარების საკითხი პოლონეთის სოფლებში. მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. რეჩეკი.

1949 წლიდან დღემდე პოლონეთის საოლქო სპორტული კოლექტივების რაოდენობა მეტად გაიზარდა.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სოფლის სპორტსმენებს გადაეცათ რამდენიმე ათეული სპორტნაგებობა.

ახალი სტადიონები

სოფიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფიზკულტურელთა სასახლის მშენებლობა. იგი შენდება ვასილ ლევსკის სტადიონის ახლოს და უკავია 2.200 კვ. მეტრი ფართობი. სტადიონი და სასახლე ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება დიდი სკვერით. სასახლის შესასვლელში დაიდგმება სკულპტურები, განზრახულია მოეწყოს დიდი საცურაო აუზები, მეოთხე სართულზე იქნება დარბაზები ტანვარჯიშისა და ძალოსნობისათვის, მწვრთნელთა ოთახები, დარბაზები კრივის, ფარიკაობის, ჭადრაკის, ავტო-მოტოსპორტის, ალპინიზმისა და ტურიზმის კაბინეტები და სხვა.

ბუქარესტში გაიხსნა „სტროიტულის“ სტადიონი, რომელიც უდიდესი სპორტული ბაზაა დედაქალაქში. სტადიონს აქვს ფეხბურთის ორი მოედანი, მოედანი რეგბის სათამაშოდ, კალათბურთისა და ფრენბურთისათვის, სარბენი ბილიკები.

მთავრდება კალათბურთის ორი მოედნის, ჩოგბურთის კორტის, საცურაო აუზის, საშხაპეების, გასახდელებისა და სამედიცინო კაბინეტების მშენებლობა.

შევკრიბოთ, შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ხალხური თამაშობანი

მნიშვნელოვანი წვლილი

ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში მოძრავ თამაშებს მუდამ გარკვეული ადგილი ეჭირათ. ყოველი ხალხი ქმნიდა მოძრავ თამაშებს და იგი ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მიაჩნდათ.

საბჭოთა კავშირში მოძრავი თამაშები სასკოლო ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

არსებობს სადირექტივო ორგანოების მითითება ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებათა შესწავლისა და მათი ფართოდ გამოყენების შესახებ. ამ მითითებათა შესაბამისად გარკვეული მუშაობა ჩატარდა. სპორტის ხალხური სახეობები ჩვენს რესპუბლიკაში დიდი სიყვარულით სარგებლობს.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, განსაკუთრებით კი რუსი ხალხის ყოფაში, დანერგილია მრავალი მოძრავი თამაში, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შემონახულია და დღესაც ფართო პოპულარობით სარგებლობს. ისინი წარმოადგენენ იმ უშრეტ წყაროს, რომლის ჯეროვანი შესწავლა-გადამუშავება და სწორი გამოყენება მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის თანამედროვე პრაქტიკას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, განსაკუთრებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, გამოქვეყნდა ბევრი კრებული, რომლებშიც რუსული თამაშების ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებია თავმოყრილი. ასეთი კრებულის გამოცემა წარმოადგენს ერთ-ერთ ღონისძიებას, რომელიც ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში მოძრავი თამაშების ორგანიზებული დანერგვისაკენ არის მიმართული. კრებულების გამოცემამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში მოძრავი თამაშების დანერგვას და მოძრავ თამაშებთან დაკავშირებული ბევრი თეორიული და მეთოდური საკითხის გაშუქებას. ამ გამოცდილების გადატანა სხვა რესპუბლიკებში უზრუნველყოფდა ამ დარგში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო ფაქტობრივი ბაზის გაფართოებას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში ხალხური მოძრავი თამაშების უფრო ეფექტური გამოყენება და ამასთან დაკავშირებული საკითხების ყოველმხრივი შესწავლა, პირველყოვლისა საჭიროა ფაქტობრივი მასალის გამოვლინება და მოძრავი თამაშების კრებულის გამოქვეყნება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ფიზიკური კულტურის მასწავლებლებისათვის და ამ საქმით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულებული. საქართველოს მრავალ რაიონში ჩაწერილია ქართული ხალხური მოძრავი თამაშების ასობით აღწერილობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი წინასწარ შესწავლილია. ცდის სახით ეს თამაშები გამოყენებული იქნა ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე. გამოვლენილია ქართული ხალხური სპორტული თამაშების აქამდე უცნობი სახეობანი. ამჟამად დასმულია საკითხი სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის მოძრავი თამაშების შერჩევა-გადამუშავების შესახებ.

ეს მუშაობაც, ბუნებრივია, გულისხმობს ხალხური მოძრავი თამაშების არა მექანიკურ გადმოტანას ფიზიკური აღზრდის თანამედროვე პრაქტიკაში, არამედ მათ აქტიურ გადამუშავებას ფიზიკური აღზრდის საბჭოთა თეორიის მოთხოვნათა შესაბამისად. მეორე მხრივ, აქამდე დაგროვილი ფაქტობრივი მასალაც მთლიანად ვერ ამოწურავს ამ დარგში არსებულ შესაძლებლობას. ფაქტობრივი მასალის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენის საკითხისადმი ყურადღების გამახვილებისა და ამ საქმეში მოხალისეთა ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ და საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით, გამოაცხადეს კონკურსი. კონკურსმა გარკვეული გამოხმაურება ჰპოვა; ჟიურიმ მიიღო 60-მდე აღწერილობა, რომელთა შორის ბევრი აქამდე უცნობი იყო, ან უკვე ცნობილი თამაშების ახალ ვარიანტს წარმოადგენდა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს, როგორც თბილისელმა ამხანაგებმა, ისე საქართველოს სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლებმა. კორესპონდენციათა შორის აღსანიშნავია ა. დავითიანის, მ. გულაშვილის, შ. გოგიტიშვილის, დ. აბუაშვილის, გ. იობიძისა და სხვათა მასალები.

წარმოდგენილ აღწერილობებში ყურადღებას იპყრობს „მარმაქელა“ (ა. დავითიანი), რომელიც ეტყობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული თამაშის სვანურ ვარიანტს წარმოადგენს. ეს თამაში რთული შესასრულებელია, მაღალ დახელოვნებას მოითხოვს და არა მარტო მოთამაშეთა შორის, არამედ მაყურებელშიც დიდ ინტერესს იწვევს. ორიგინალურია გ. იობიძის მიერ წარმოდგენილი „შვიდი ქვა“. თამაში მეტად საინტერესო სიუჟეტზეა აგებული და, იმის მიუხედავად, რომ მისი მსგავსი თამაში სხვაგანაც არის აღწერილი, ბევრ თავისებურებას შეიცავს, რომლის გამო შეიძლება დამოუკიდებელ სახეობად იქნეს გამოყენებული.

მსგავსი თამაშის აღწერილობა „ამწყობის დაჭერის“ სახელწოდებით აბასთუმნიდან შ. გოგიტიშვილმა გამოგზავნა. სამწუხაროდ, კორესპონდენტი არ იტყობინება ხსენებული თამაშის ჩაწერის ადგილს, რაც საშუალებას მოგვცემდა საქართველოში ამ თამაშის გავრცელების შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნა და მისი ყველა მხარე ერთნაირი სისრულით წარმოგვედგინა. ასევე საინტერესო აღმოჩნდა ის თამაში, რომელიც „ტყვეობის“ სახელწოდებით გამოქვეყნდა (ე. გულაშვილი) და გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში იყო ჩაწერილი. ეს თამაში გუნდურია და როგორც ეტყობა, სამხედრო ხასიათს ატარებდა. იგი კახეთის ზოგ რაიონში დღესაც ფართო პოპულარობით სარგებლობს.

დ. აბუაშვილმა წარმოადგინა „ბერა-ბურთი“, რომლის მსგავსი თამაშობანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ იყო და არის გავრცელებული. აღწერილობა საინტერესოა მთელი რიგი ისეთი თავისებურებებით, რომლებიც სხვა ვარიანტებს არ გააჩნიათ. ე. გულაშვილის მიერ სოფ. კარდანახში ჩაწერილი „გოთაობა“ მთელ საქართველოში და განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში ფართოდაა გავრცელებული. ზოგჯერ იგი „ლორობის“ სახელით არის ცნობილი. მართალია იგი არა ერთგზის არის აღწერილი, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც საჭიროდ იქნა მიჩნეული ზოგი თავისებურების გამო, რომელთაც ამ თამაშის კარდანახში ჩაწერილი ვარიანტი შეიცავს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ გამოცხადებულმა კონკურსმა უდავოდ დადებითი შედეგი გამოიღო. მან გაამდიდრა ამ საკითხზე არსებული მასალა ზოგი აქამდე უცნობი თამაშის აღწერილობით, ზოგი უკვე ცნობილი თამაშების ახალი ვარიანტებით და რაც მთავარია, ამ საპასუხისმგებლო საქმეში დაინტერესებულთა უფრო ფართო წრე ჩაება.

ა. რობაქიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

კონკურსის შედეგები

ხალხური მოძრავი თამაშების კონკურსის ჟიურიმ (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. რობაქიძე, ფიზკულტურისა და სპორტის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ნ. შიშნიაშვილი და ზ. შერაზადაშვილი) შეაჯამა საკონკურსოდ შემოსული მასალები და გადაწყვიტა:

პირველი ადგილი მიენიჭოს გ. იობიძეს თამაშისათვის „შვიდი ქვა“; მეორე ადგილი—ა. დავითიანს თამაშისათვის „მარმაქელა“, მესამე — ე. გულაშვილსა და შ. გოგიტიშვილს, რომლებმაც კონკურსის ძირითადი პირობების შესაბამისად წარმოადგინეს ხალხური თამაშების ორიგინალური ვარიანტები.

სურათზე: „კოლმეურნის“ საქართველოს ჩემპიონები საცხენოსნო სპორტში. (მარცხნიდან, ზედა რიგში) თ. კვაჭანტირაძე, რ. შჩელკუნოვა (ორივე ფოთიდან), ო. ხაინდრავა (სოხუმი), ქ. არაბული (ყაზბეგი), შ. აფციაური (სიღნაღი), გ. მატარაძე (სოხუმი), კ. მალანია (ზესტაფონი), ც. ქუტიბაშვილი (სიღნაღი), ნ. ჩიქობავა (ცხაკაია), ნ. წურწუმია (სოხუმი).

მკითხველთა სიგნალები

სპორტსკოლა ყურადღებას საჭიროებს

სამ თვეზე მეტია, რაც წყალტუბოში გაიხსნა მოზარდთა სპორტული სკოლა (დირექტორი შ. ბიბილეიშვილი). სკოლასთან შექმნილია 4 სექცია, რომლებშიც 80 მოსწავლეა გაერთიანებული. ნაყოფიერად მუშაობენ კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის სექციები.

სამწუხაროდ, სკოლა მოთავსებულია ყოვლად შეუფერებელ შენობაში. სპორტსმენებს არა აქვთ სპორტული დარბაზი.

მართალია, საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარება ნორჩ სპორტსმენებს კურორტის საუწყებო სანატორიუმების სპორტულ მოედნებზე უხდებათ და მათ ამას ჯერჯერობით არავინ უკრძალავს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს მოედნები სკოლას მუდმივ სარგებლობაში გადაეცემა.

საჭიროა აღნიშნულ მდგომარეობას მეტი ყურადღება დაუთმონ ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივმა კომიტეტმა და რაიონის განათლების განყოფილებამ.

შ. გენძეხაძე

ვერ მოასწრეს

დიდხანს ელოდა გორის ახალგაზრდობა საქალაქო სპარტაკიადის ჩატარებას, რომელიც, როგორც იყო, 13-14 ნოემბერს შედგა. მაგრამ სპარტაკიადის ორგანიზატორებს მხედველობიდან „გამორჩათ“ მისი საზეიმო გახსნა, ბაზების მომზადება, მსაჯთა კოლეგიის დაკომპლექტება

შეჯიბრების პირველ დღეს ჩატარდა 100 მეტრზე რბენა როგორც ქალების, ისე ვაჟებისათვის, სიგრძეზე ხტომა, სამხტომი და სხვ. მაგრამ პრობლემას ყოველი ნახტომის გაზომვა შეადგენდა, რადგან ლენტს, რომლითაც ნახტომი იზომებოდა, არ ეტყობოდა დანაყოფები და მსაჯებს ოქმში შედეგი ვარაუდით შეჰქონდათ. შეჯიბრების მეორე დღეს მონაწილეებმა თავი მოიყარეს დაფასთან, სადაც წინა დღის შედეგები უნდა ყოფილიყო გამოკრული მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ „ვერ მოასწრო“ ამ საქმის მოგვარება და მონაწილეებმა არ იცოდნენ თავიანთი წინა დღის შედეგები. ორგანიზატორებმა ვერ [illegible]ლეს დაეზუსტებინათ სპორტის რომელ სახეობაში რა დროს ტარდებოდა შეჯიბრება

შეჯიბრების მთავარი მსაჯი ქ. ხუციშვილი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. გორის პედინსტიტუტის გუნდის წარმომადგენლების ა. ივანიშვილისა და უ. თეთრაშვილის კითხვაზე რატომ არ გამოაკრეს წინა დღის შედეგებ მთავარმა მსაჯმა უპასუხა:

— ნეტავი ერთი მოგცლიათ, ვერ მოვასწარით შედეგების დაჯამება!

არაორგანიზებულმა შეჯიბრებამ შეანელა როგორც მონაწილეთა, ისე მაყურებელთა ინტერესი.

ა. გელაშვილი,
პირველთანრიგოსანი.

ცუდად ორგანიზებული შეჯიბრება

ცხრა დღეს გრძელდებოდა თელავის რაიონის ფრენბურთელთა შეჯიბრება გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ გარდამავალ თასზე. იგი მესამედ მოიპოვეს სპორტული სკოლის ფიზკულტურელებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება ცუდად იყო ორგანიზებული. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკმა“ გათამაშების დაწყებამდე ორი დღით ადრე დააკომპლექტა გუნდი. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მან ყველა შეხვედრა წააგო. უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ამ ღონისძიებას „ისკრის“ რაიონული საბჭოც, რომლის გუნდმა პირველივე შეხვედრა წააგო სპორტსკოლის ფრენბურთელებთან და დამარცხებით „შეურაცხყოფილმა“ დატოვა შეჯიბრება.

ნ. ცერცვაძე

საქართველო—ბულგარეთი

საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში

22 ნოემბერს დილიდანვე დაიწყეს ცირკის შენობის „შტურმი" სპორტის მოყვარულებმა. მაყურებელთა შორის განსაკუთრებით გულმშვიდად იყვნენ ისინი, ვისაც საიმედოდ ჰქონდათ შენახული სანატრელი ბილეთი. მაგრამ მათაც თავის დაზღვევის მიზნით დიდი ხნით ადრე გასწიეს ცირკისაკენ. შეჯიბრების დაწყებამდე ჯერ კიდევ დრო იყო და „ბედის მაძიებლები" ალბათ უკვე მესამედ, დაუზარებლად იმეორებდნენ ერთსა და იმავე სიტყვებს:

— ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ?

ვეებერთელა ამფითეატრი პირამდე სავსეა. შეჯიბრების დაწყების მოლოდინში ყოველი მხრიდან ისმის ცხარე კამათი, ცალკეულ მოჭიდავეთა დახასიათება, მოსალოდნელი პროგნოზები. მოსაუბრეთა რამდენიმე ჯგუფს ჩამოვუარეთ. სად გაიგეს მათ ამდენი საინტერესო ამბავი ჩვენს სტუმრებზე. ჩანს მაყურებელიც გულმოდგინედ ემზადებოდა ამ საერთაშორისო შეხვედრისათვის. ცნობები მართლაც საგულისხმო იყო: ერთი ავტორიტეტულად აცხადებდა იმის შესახებ, რომ ვახტანგ ბალავაძეს რამდენჯერმე ჰყავს წაქცეული ნიკოლო სტანჩევი და იგი ამ წონაში (ქვესაშუალოში) მას შემდეგ აღარ გამოდის. ვიღაცამ დამაჯერებლად დაასაბუთა ქვემძიმე წონის მოჭიდავის პეტკო სიარაკოვის ფიზიკური სიძლიერე...

შეჯიბრება დაიწყო...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი მკაცრი და მომთხოვნი მაყურებელი თავისუფალ ჭიდაობას, როგორც საქართველოში ჰყავს, იშვიათია. ამას თავისი მიზეზი აქვს. საქართველოში თავისუფალი ჭიდაობა ნაციონალური — ქართული ჭიდაობის ბაზაზეა განვითარებული. ქართველ სპორტსმენებს თავისუფალ ჭიდაობაში ნაციონალური ჭიდაობის ბევრი სწრაფი, ეფექტური და შედეგიანი ილეთები აქვთ შეტანილი. ოსტატური სარმები, მოგვერდები ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს მოჭიდავეთა ტექნიკურ-ტაქტიკური ხერხების არსენალს. სწორედ ამიტომ ხალიჩაზე უმძიმესი წონის მოჭიდავის მირიან ცალქალამანიძის გამოსვლას მაყურებელი გულთბილად შეხვდა. ცალქალამანიძემ მსოფლიოში უძლიერესი მოჭიდავის სახელი ჯერ კიდევ ტოკიოში მოიპოვა, და თუ არაობიექტურმა მსაჯობამ მას არ მისცა საშუალება გამხდარიყო ოქროს მედლის მფლობელი, არაოფიციალურად იგი ყველამ მსოფლიო ჩემპიონად სცნო. ეს კარგად იცოდა მაყურებელმა და ცალქალამანიძის დღევანდელმა მეტოქემ სიმეონ დიჩკინმა.

ხელის ჩამორთმევას ფრთხილი დაზვერვა არ მოყოლია, ორივემ მედგრად შეუტიეს ერთმანეთს. დაახლოებით მესამე წუთზე დიჩკინი ერთ-ერთი ილეთის შესრულებისას, კინაღამ ორივე ბეჭით ხალიჩაზე აღმოჩნდა, მაგრამ მან უკანასკნელ წუთში თავი დააღწია ცალქალამანიძის მკლავებს. პირველი 6 წუთი საბჭოთა მოჭიდავის უპირატესობით დამთავრდა. ცალქალამანიძისათვის ხელსაყრელია დგომში ჭიდაობა, სადაც მას სარმები გამარჯვების დაუშრეტელ საშუალებას აძლევს იგი ირჩევს შეხვედრის შეწყვეტილ მდგომარეობაში გაგრძელებას, ე. ი. დგომში.

აი, ცალქალამანიძემ მოხდენილად გაუყარა ფეხი მოწინააღმდეგეს, ძლიერად დაიჭირა და დიჩკინი ხიდურზე გადაიყვანა. ახლა საჭიროა პატარა ძალდატანება და მოწინააღმდეგე ბეჭებზე აღმოჩნდება. დიჩკინმა რამდენიმე წამს შეძლო ხიდურის გამაგრება და შემდეგ მოწყვეტილი დაეცა—სუფთა მოგება. საქართველოს გუნდს ჩაეწერა პირველი გამარჯვება.

დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩაიარა მჩატე წონის მოჭიდავეების გოგიაძისა და ბულგარეთის ჩემპიონის გ. ვილჩევის შეხვედრამ. გოგიაძეს მეტად დაბალი დგომი აქვს. ბულგარელმა ალღო აუღო გოგიაძის ჭიდაობის სტილს და არ მისცა მას ახლო მისვლის საშუალება. პირველი ექვსი წუთი უშედეგო აღმოჩნდა. გოგიაძე შესამჩნევად აქტიურობდა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე ბრძოლის გაწევას ერიდებოდა და ხალიჩის გარეთ გასვლით იცავდა თავს. ჩოქბჯენში საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობა ცხადი გახდა. მისი მოწინააღმდეგე კვლავ გარბოდა ხალიჩიდან. დრო ამოიწურა. მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება გოგიაძეს მიაკუთვნა.

ქვემსუბუქი წონის მოჭიდავე ნიკოლოზ მუზაშვილი არაჩვეულებრივად ეფექტურად მუშაობს ფეხებით. მან შეხვედრა სპას პენიევის წინააღმდეგ სარმით დაიწყო, მაგრამ მოწინააღმდეგე მაგრად დაუხვდა. მუზაშვილი მაინც ახერხებს ფეხის ჩავლებას, მაგრამ ბულგარელი თავს გაქცევით შველის. ძნელია, როცა მოწინააღმდეგე ცდილობს ილეთი არ ჩაგატარებინოს და ამავე დროს თვითონაც პასიურობს. ასეთ შემთხვევაში გამარჯვება იმის მხარესაა, ვინც უფრო აქტიურია. მაგრამ მუზაშვილმა მაინც შეძლო მოწინააღმდეგის ილეთზე დაჭერა — გონგმა შეხვედრა შეწყვიტა. გამარჯვება ქულებით მიეკუთვნა მუზაშვილს.

მსუბუქი წონის მოჭიდავეთა ვ. ილურიძისა და დიმიტრ იანჩევის შეხვედრაში მცირე უპირატესობით გამარჯვება ილურიძემ მოიპოვა.

როდესაც ხალიჩაზე გამოიძახეს ქვესაშუალო წონის მოჭიდავეები, დარბაზში ტაშისცემა ატყდა. მარცხენა კუთხეში თავდახრილი დგას მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე, მის საპირისპიროდ კი დიმიტრ ჩაფუდოვი.

მაყურებელთაგან ვიღაცამ ხმამაღლა შენიშნა:

— კარგია ბალავაძის ჭიდაობა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ გრძელდება! ამ სიტყვებმა სიცილი გამოიწვია. მართლაც, უკანასკნელ ხანებში სპორტის მოყვარულებს „არ სწყალობს" ბალავაძე, ჯერ კიდევ კარგად არ არის მაყურებელი აზარტში შესული, რომ ბალავაძეს მოწინააღმდეგე ხალიჩაზე ჰყავს მილურსმული. ამ მხრივ არც ფოტორეპორტიორები არიან სახარბიელო მდგომარეობაში — მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მტკიცედ იცავს თავის განრიგს — მოათავოს ბრძოლა პირველსავე წუთებში.

ბულგარელმა სპორტსმენმა, მართალია, იცოდა თავისი მოწინააღმდეგის ძალა, ბრძოლა მაინც გაბედულად დაიწყო. ბალავაძე წელში გამართული უახლოვდება ჩაფუდოვს, თითქოს ეუბნება — აჰა რაც გინდა ის გამიკეთეო, მაგრამ ჩემპიონთან ახლოს მისვლა სარისკოა. ბალავაძე მაინც ახერხებს ფეხის ჩახვევას და... ჩაფუდოვი ჰაერშია. უკანასკნელ წამში იგი ასწრებს გადაბრუნებას. მესამე წუთზე ილეთი მეორდება: — ოსტატური შუაკაური და ამჯერად ბულგარელი ორივე ბეჭით ხალიჩაზეა.

შემდეგი წყვილი ნიკოლო სტანჩევი — ესტატე ქარქუსაშვილი. სტანჩევი დიდი ფიზიკური ძალის, კარგი ტექნიკის მქონე მოჭიდავეა. ქარქუსაშვილმა ენერგიულად დაიწყო შეხვედრა. მეორე წუთზე სარმით წონასწორობიდანაც კი გამოიყვანა მოწინააღმდეგე, მაგრამ შემდგომში ინიციატივა მთლიანად გადასცა ბულგარელს. ნაცვლად აქტიური ბრძოლისა, იგი ხალიჩიდან გაქცევით ცდილობდა თავის გადარჩენას. შეხვედრა დამსახურებულად მოიგო სტანჩევმა, რომელიც ჩვენი აზრით სტუმრებში საუკეთესო იყო.

ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შოთა დაუშვილის და პეტკო სირაკოვის შეხვედრის ბედი უკანასკნელ სამ წუთში გადაწყდა. მანამდე ვერც ერთმა სპორტსმენმა შესამჩნევ უპირატესობას ვერ მიაღწია. უკანასკნელ წუთებში უფრო აქტიური და მონდომებული სირაკოვი იყო და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

უკანასკნელი წყვილი — მძიმე წონის მოჭიდავეები ოთარ კანდელაკი და ჰუსეინ მეჰმედოვი! გამოაცხადა დიქტორმა. მეჰმედოვი იწონის 121 კილოგრამს, მისი მოწინააღმდეგე—კანდელაკი მასზე 27 კილოგრამით მსუბუქია. მიუხედავად ამისა, კანდელაკმა ბულგარელ მოჭიდავეს ენერგიულად შეუტია. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი გოლიათური აგებულების სპორტსმენთან სისწრაფე გადაწყვეტდა საქმეს. ამიტომ იგი ხან წინიდან, ხან გვერდიდან უვლიდა მეტოქეს. გულმოდგინედ ადევნებდა ოთარის ჭიდაობას თვალს მამამისი, საქართველოს ფალავანი, გოლიათი სანდრო კანდელაკი.

ექვსი წუთი ყაიმია. ჩოქბჯენში ზევით პირველად მეჰმედოვი მუშაობს. მისი ყველა ცდა, ჩაუტაროს კანდელაკს რაიმე ილეთი, ამაო გამოდგა. თავის მხრივ კანდელაკმაც ვერაფერი მოუხერხა ბულგარელს. უკანასკნელი სამი წუთი. თბილისელი მოჭიდავე შეტევაზეა, მაგრამ დროც ამოიწურა. მსაჯთა კოლეგია მოულოდნელად გამარჯვებას მეჰმედოვს ანიჭებს.

საქართველოს და ბულგარეთის საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა. ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს გამარჯვება — 5:3.

მაყურებელი გულთბილად შეხვდა სტუმრებს სახალხო ბულგარეთიდან.

ნ. ბუზუშვილი

• • •

სურათებზე: ზევით მარცხნივ — ვ. ბალავაძემ გაიმარჯვა. მარჯვნივ—მ. ცალქალამანიძე გადამწყვეტ იერიშზეა. ქვევით — ნ. მუზაშვილს მოწინააღმდეგე გაურბის.

ფოტო მ. ზარგარიანისა

მსაჯები კვლავ არაობიექტურობენ

◆

საკავშირო გუნდური შეჯიბრება კრივში

მოსკოვში გრძელდება საკავშირო გუნდური პირველობის გათამაშება კრივში. შეხვედრათა დიდი უმრავლესობა კვლავინდებურად მიმდინარეობს საზოგადოება „სტროიტელის" კლუბში, მაყურებელთა გარეშე. მხოლოდ საღამოს, ცირკში გამართულ შეჯიბრებებზე იგებენ კრივის მრავალრიცხოვანი მოყვარულები თუ რომელი გუნდი გამოვიდა გამარჯვებული დილას. სპორტული ბრძოლის ხასიათი, მისი შინაარსი საკავშირო შეჯიბრების ორგანიზატორთა წყალობით საიდუმლოდ რჩება. ეს კი ძლიერ დასანანია.

16 ნოემბერს საღამოს, ბრძოლაში ჩაება დედაქალაქის მოკრივეთა გუნდი. მოსკოველები შეხვდნენ თბილისის სპორტსმენთა კოლექტივს. დედაქალაქის წარმომადგენლებს ბოლო წლების მანძილზე არავისთვის არ დაუთმიათ სსრ კავშირის გუნდური პირველობა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ისინი ამჯერადაც მოიპოვებდნენ დამაჯერებელ გამარჯვებას. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ათი ჩემპიონიდან 7 მოსკოველია (ა. ბულაკოვი, ბ. სტეპანოვი, ი. სოკოლოვი, ვ. მირონოვი, ვ. ჩერკასოვი, გ. ტოლსტიკოვი, ლ. სენკინი).

სამწუხაროდ, მაყურებლები სწრაფად დარჩნენ გაწბილებული. უკვე თვით დედაქალაქის ნაკრების შემადგენლობამ გამოიწვია გაუგებრობა. საბჭოთა კავშირის შვიდი ჩემპიონიდან რინგზე გამოვიდნენ მხოლოდ ვ. მირონოვი და გ. ტოლსტიკოვი. სად არიან მოსკოვის სხვა უძლიერესი მოკრივეები? რა მნიშვნელოვანმა მიზეზებმა შეუშალა მათ ხელი დაეცვათ მოსკოვის სპორტული სახელი?

ა. ბულაკოვმა თავისი 25 წლის ასაკში გადაწყვიტა საერთოდ დატოვოს რინგი, გადავიდეს მწვრთნელად. ამბობს, რომ მისთვის საკმარისია სპორტული ბრძოლა, გააკეთა თავისი, ახლა შეეცადონ სხვები. ბ. სტეპანოვმა უარი განაცხადა დედაქალაქის სპორტული სახელის დაცვაზე ოჯახური მდგომარეობის გამო. ი. სოკოლოვს სწორედ პირველობის წინ უეცრად ატკივდა მუხლები. მართლაც, რა უიღბლობაა! ყველაფერი კარგად იყო და უცებ, დახეთ, როცა საჭიროა გამოსვლა კოლექტივისათვის, მუხლებმა უღალატეს! ვ. ჩერკასოვმა უბრალოდ მოიმიზეზა უქეიფობა კონკრეტიზაციის გარეშე — სახელდობრ რა სტკივა მას.

ქვემძიმე წონის სამი საუკეთესო მოსკოველი მოკრივე — ლ. სენკინი, ი. ეგოროვი და ა. პეროვი ჩვეულებრივ, მედგრად ებრძვიან ერთმანეთს რინგზე, მაგრამ ამჯერად მათ გულის ამაჩუყებელი ერთსულოვნება გამოამჟღავნეს. ყველას, თითქოს დაკვეთით, გამოაჩნდა რაღაც დასანანი ავადმყოფობა. ლ. სენკინს გაეხსნა ავადმყოფობა მხრებში. ი. ეგოროვმა რადიკულიტის უეცარი შეტევა იგრძნო. ა. პეროვის ჩივილია — საერთო ავადმყოფობა.

ვერც მოსკოვის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა (თავმჯდომარე პუშნოვი), ვერც დედაქალაქის მოკრივეთა საზოგადოებრიობამ (მოსკოვის სექციის თავმჯდომარე კოროლიოვი) ვერ მოძებნეს საშუალება, რათა აღეკვეთათ ავადმყოფობის ასეთი თავისებური ეპიდემია. ცირკში მოსკოველებმა ნახეს მოსკოვის ნაკრები გუნდის შესუსტებული შემადგენლობა, ხოლო რინგზე გამართული ორთაბრძოლების ხასიათი გაიძულებს იფიქრო, რომ იშვიათ[illegible] გარდა, გუნდში შეყვანილი მოსკოველი მოკრივეები ნაუცბათევად ემზადებოდნენ პირველობისათვის. და თუ დედაქალაქის მოკრივეთა კოლექტივმა მაინც მოიპოვა გამარჯვება მატჩში საქართველოს გუნდთან ანგარიშით 18:13, ამაში მცირე როლი როდი ითამაშა პირველობის მსაჯთა კოლეგიის მეტისმეტად არაზუსტმა მუშაობამ (მთავარი მსაჯი აგალაროვი).

მოსკოვის ნაკრების ორი უდავო გამარჯვების შემდეგ — გ. გასპარიანისა ი. შჩეპეტკოვზე და ვ. ვორობიოვისა ა. გუბაევზე — რინგზე გამოვიდნენ ქვემსუბუქი წონის მოკრივეები: პირველთანრიგოსანი ნ. თორთლაძე საქართველოდან და სპორტის ოსტატი ვ. დადაევი (მოსკოვი). მოფიქრებულად აიგო ბრძოლა ახალგაზრდა ქართველმა მოკრივემ. სამი რაუნდის განმავლობაში მას მოწინააღმდეგე შორ დისტანციაზე ეკავა. შეტევის ცდაზე პასუხობდა ზუსტი, პირდაპირი დარტყმებით. აგებდა რა შეხვედრას, ვ. დადაევი მხოლოდ მესამე რაუნდში გახდა უფრო აქტიური, მაგრამ მოსკოველი უსისტემოდ უტევდა და თითქმის ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო.

ის, რომ მოსკოველი ცუდად იბრძოდა, მისი დამარცხება ყველასთვის აშკარა იყო, გარდა... მსაჯებისა. მართალია, მათი აზრი, ვინც რინგთან მსაჯობდა, გაიყო. ლებედევმა (ლენინგრადი) გამარჯვება მისცა ქართველ მოკრივეს, ხოლო ივანოვმა (კიევი) და ბუხმანმა (ტაშკენტი) გამარჯვებულად ჩათვალეს მოსკოველი.

მაყურებლებმა, რომლებიც მეტად ობიექტურად იქცეოდნენ, ხმამაღლა გამოხატეს თავისი პროტესტი ივანოვისა და ბუხმანის მიერ ბრძოლის შეფასების მიმართ. მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ გააკეთა დაუყოვნებელი ცნობა, რომელიც ბოლო დროს ერთობ გავრცელებული გახდა:

— გადაწყვეტილება გამოცხადებულ იქნება გვიან.

„გვიან" გამარჯვება, რა თქმა უნდა, მიენიჭა დადაევს. ჩვენი რწმენით — სულ ტყუილად. თუნდაც იმიტომ, რომ სპორტის ოსტატისათვის სირცხვილია ასეთი უმწეობის გამომჟღავნება რინგზე.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ცუდად ნავარჯიშევი გ. ტოლსტიკოვი შეხვდა გ. დარბაისელს და წააგო ბრძოლა. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა, ალბათ, თვით ჩემპიონსაც. რომელმაც მოულოცა მოწინააღმდეგეს წარმატება. მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა შელიაგინმა (ლენინგრადი) და კვლავ ბუხმანმა (ტაშკენტი) სხვაგვარად გადაწყვიტეს. კეთილგონიერების საწინააღმდეგოდ მათ არ დააყოვნეს უპირატესობა მიეცათ მოსკოველისათვის. კვლავ წინააღმდეგობანი მსაჯთა შორის, კვლავ სიცილი მაყურებლებში და სამართლიანი განცვიფრება: „როდის გათავდება ეს დაბნეულობა?". და მხოლოდ ახალი თათბირის შემდეგ მიენიჭა გამარჯვება ქართველ სპორტსმენს.

ბოლო წლების მანძილზე არ ყოფილა მოკრივეთა შეჯიბრება, რომლის შემდეგ პრესაში და სპორტსმენთა შორის არ გაისმოდეს კრიტიკა სპორტული მსაჯების მისამართით. მაგრამ მსაჯები კრიტიკული შენიშვნების მიმართ ყრუდ რჩებიან. მართლაც, როდისღა გათავდება ეს?.

მ. ალექსანდროვი
(„კომსომოლსკაია პრავდა").

• • •

რედაქციისაგან: აღნიშნულ საკითხზე „ლელოს" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტს". როგორც შეგვატყობინეს, მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებაში შემდგომი მსაჯობიდან მოხსნა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ლებედევი (ლენინგრადი) და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ივანოვი (კიევი), რომლებმაც მიკერძოებით მიანიჭეს გამარჯვება მოსკოველს

სტატიაში არასწორადაა აღნიშნული თითქოს ბუხმანს (ტაშკენტი) გამარჯვება დადაევისათვის მიეცეს.

საჭადრაკო კლუბი

ამას წინათ ქ. სტალინირში გაიხსნა საჭადრაკო კლუბი, რომელმაც პირველი დღეებიდანვე დაიწყო ნაყოფიერი მუშაობა. კლუბთან ჩამოყალიბდა ჭადრაკის საქალაქო სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ო. გასიევი. სექციაში ჩაბმულია ქალაქის 15 საუკეთესო მოჭადრაკე.

ჭადრაკის კლუბის გახსნამ დიდად შეუწყო ხელი ქალაქში ჭადრაკის განვითარების საქმეს. აქ უკვე ჩატარდა საქალაქო და საოლქო პირველობები.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით კლუბში არაა საკმაო რაოდენობით საჭადრაკო საათები და მაგიდები.

ვ. კასრაძე.

კონსტიტუციის თასზე

გასულ კვირას დაიწყო სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის რესპუბლიკური თასის გათამაშება ფეხბურთში. თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი და „დინამო" (გორი). 90 წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2. დამატებით დროში ტრამვაელებმა ორი ბურთი გაიტანეს დინამოელთა კარში და მოიგეს მატჩი ანგარიშით — 4:2.

მახარაძის „კოლმეურნემ" თავის მოედანზე მიიღო ბათუმის „დინამო". დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1.

„მეტალურგი" (რუსთავი) ბორჯომში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს" და დაამარცხა იგი ანგარიშით — 3:1.

ზუგდიდის „კრასნაია ზვეზდა" არ გამოცხადდა მატჩზე სტალინირის „სპარტაკთან", რისთვისაც გუნდს ჩაეთვალა დამარცხება.

საქართველოს პირველობა

21 ნოემბერს თბილისში გაიმართა მორიგი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში 26 კომისრის სახელობის რაიონისა და სოხუმის „დინამოს" შორის.

გაიმარჯვა 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა — 6:0.

ველორბოლა

ცაგერში ჩატარდა შეჯიბრება რაიონის პირად პირველობაზე ველორბოლაში მარშრუტით: ცაგერი-ლენტეხი-ცაგერი. შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც ცაგერის, ისე ლენტეხის სპორტის მოყვარულთა შორის.

პირველ ადგილზე გამოვიდა ა. კოპალიანი (სას. სამ. ტექნიკუმი), მეორე ადგილი წილად ხვდა ზ. ფალავანდიშვილს (ცაგერის საშუალო სკოლა), ხოლო მესამე — გ. ზენდელიანს (სას. სამ. ტექნიკუმი).

გ. ჟუგავა

ფრენბურთელთა შეხვედრა

ამას წინათ ქუთაისის რაიონის სოფ. დერჩის საშუალო სკოლის კეთილმოწყობილ სპორტულ მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ ამავე სკოლისა და სოფ. დღნორისის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები. შეჯიბრებამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. საინტერესო ამხანაგური შეხვედრა 2:1-ზე მოიგეს დერჩელმა მოსწავლეებმა.

ე. ახვლედიანი

დიდი სპორტული დღე

გასულ კვირას კიდევ ერთხელ გაივსო მაყურებლებით თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნები.

— დიდი სპორტული დღე — ასე უწოდეს დედაქალაქის სპორტის მოყვარულებმა 21 ნოემბერს. თბილისელები მოწმე იყვნენ ფეხბურთელთა, მძლეოსანთა და ველოსიპედისტთა შეჯიბრებებისა. ჩატარდა შეხვედრები სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თბილისისა და საქართველოს თასზე. „დინამოსა" და ოფიცერთა სახლის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

თბილისის „დინამოსა" და ოფიცერთა საოლქო სახლის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის დაწყებამდე ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნობაში.

110 მეტრზე თარჯრბენის სტარტზეა თბილისის უძლიერესი ჰაბუკები. მესტარტის ნიშნისთანავე ადგილიდან მოწყდნენ ისინი და ერთი მეორის მიყოლებით გადალახეს ათივე თარჯი. ფინიშთან პირველი მივიდა გ. გვინჩიძე. მისი შედეგია — 16,4.

საინტერესოდ ჩატარდა გოგონათა ამანათრბენი 4×100 მ. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დედაქალაქის გოგონათა პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. სტარტიდანვე დაწინაურდა პირველი გუნდის (რ. სტრახერი, ნ. კანიფოლსკაია, ნ. სუვერნევა და გ. ფაროლდი) წარმომადგენელი, დროულად გადასცა ამანათი პარტნიორს... და ფინიშთანაც პირველები მივიდნენ. — 51,03. ეს შედეგი ჩვენი რესპუბლიკის ახალი რეკორდია გოგონათა შორის.

ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდით აღინიშნა ჰაბუკთა ამანათრბენი 4×100 მ. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სამი უფროსი და ერთი უმცროსი ასაკის ჰაბუკთა ნაკრები გუნდი. გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა გუნდმა (ლ. ანთაძე, ბ. სამოილენკო, ი. დანიელაშვილი და რ. მინდორაშვილი), რომელმაც დისტანცია დაფარა 44,6 და დაამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი უფროსი ასაკის ჰაბუკთათვის. მეორე ადგილზე გამოვიდა მეორე ნაკრები (45,4), მესამეზე — უმცროსი ასაკის ჰაბუკთა ნაკრები (ი. ებანოიძე, ა. არქველოვი, ვ. ლაბანოვი და ი. ბაბალიკაშვილი). შედეგი—47,0, ესეც რესპუბლიკის ახალი რეკორდია.

დაიწყო ოსტატთა მატჩი. ამას წინანდელ შეხვედრაში გაიმარჯვეს არმიელებმა — 2:1. ყველას აინტერესებდა შეძლებდნენ თუ არა დინამოელები რევანშის აღებას, შეხვედრის პირველ ნახევარში დინამოელებმა ხასაიამ და ქ. გაგნიძემ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი. შეხვედრის მეორე ნახევარში ანგარიში ხუთამდე გაიზარდა დინამოელთა სასარგებლოდ, რასაც არმიელებმა ერთი ბურთით უპასუხეს. შეხვედრა დამთავრდა „დინამოს" გამარჯვებით — 5:1.

ო. გელაშვილი

* * *

სურათებზე: (მარცხნიდან) გ. გვინჩიძე თარჯრბენის დროს. ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მაუდკამვოლის ფაბრიკის ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

35 გუნდის მონაწილეობით

თბილისის ფეხბურთელთა 35 გუნდი მონაწილეობდა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის ტრადიციული თასის საქალაქო გათამაშებაში. მეტად საინტერესო გამოდგა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და თბილისის ოფიცერთა სახლის პირველი გუნდის ნახევარფინალური მატჩი. გამარჯვებული გამოვლინდა მხოლოდ დამატებით დროში, სადაც სტუდენტმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მაუდ-კამვოლის ფაბრიკისა და „ნორჩი დინამოელის" გუნდები. პირველ დღეს გამარჯვებული არ გამოირკვა — 1:1. გადათამაშება დამთავრდა ფაბრიკის გუნდის სასარგებლოდ — 3:1.

ფინალური მატჩი ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მაუდ-კამვოლის ფაბრიკის გუნდებს შორის გაიმართა 21 ნოემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე. თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში, ორივე გუნდი იბრძოდა მონდომებით, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ. მეორე ტაიმში ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი ბურთი, ხოლო თავისაში მიიღეს ერთი.

მატჩი ანგარიშით 2:1 მოიგო ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის გუნდი.

ა. გონელი.

მსაჯის დაუდევრობა

8 ნოემბერს ხაშურში დანიშნული იყო მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდებს შორის. თამაშის მსაჯად დანიშნული იყო I კატეგორიის მსაჯი ო. ჯებაშვილი, რომელიც არ ჩავიდა ხაშურში სამსაჯოდ და ამის შესახებ არ აცნობა არც გათამაშების მთავარ მსაჯს და არც ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტს.

მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ო. ჯებაშვილის უპასუხისმგებლობის შესახებ და შუამდგომლობა აღძრა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე, რათა მას დისკვალიფიკაცია მიეცეს 1955 წლის ბოლომდე.

კომიტეტმა დაამტკიცა მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის პრეზიდიუმის შუამდგომლობა.

საკავშირო ნახევარფინალი

ერევანი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). დაძაბულად მიმდინარეობს მეთოთხმეტე ტური. პირველი დამარცხება განიცადა გროსმაისტერმა ფლორმა ვისტანეცკისთან პარტიაში. გურგენიძემ თეთრებით პიმენოვთან მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო. შემდგომ პიმენოვი ვერ თამაშობდა სწორად და გურგენიძემ უპირატესობა საგრძნობლად გაადიდა, ხოლო შემდეგ ბრძოლა ლაზიერების ენდშპილში გადაიყვანა და მე-40 სვლაზე გაიმარჯვა.

შიშოვი შავებით ეთამაშებოდა ტარასოვს. პარტია ამ დღეს დაუმთავრებელი დარჩა, რომელშიც შიშოვს მოგების შანსები აქვს. ყველა დანარჩენი პარტია ცხარე ბრძოლის შემდეგ გადაიდო.

მეთხუთმეტე ტურში გურგენიძემ (შავები) მოკაციანთან ცუდად გაითამაშა დებიუტი და პაიკი დაკარგა. მაგრამ თეთრებისათვის მისი რეალიზაცია არც თუ ისე იოლი იყო. მოკაციანი უგეგმოდ თამაშობდა, რამაც გურგენიძეს საშუალება მისცა შეექმნა კონტრთამაში და უკან დაებრუნებინა პაიკი. ახლა ინიციატივა გურგენიძის მხარეზე გადავიდა. მოკაციანს ყაიმისათვის უნდა ებრძოლა, მაგრამ მან დაუშვა შეცდომა, ფიგურა წააგო და რამდენიმე სვლის შემდეგ შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ამ გამარჯვების შემდეგ გურგენიძეს აქვს 14 შესაძლებლიდან 7,5 ქულა. სპორტის ოსტატის სახელის მოსაპოვებლად მან ექვს დარჩენილ პარტიაში კიდევ 4 ქულა უნდა მოაგროვოს.

შიშოვი ამ ტურში თავისუფალი იყო. დამარცხება განიცადეს ლიდერებმა სოკოლსკიმ და ილივიცკიმ, ტარასოვმა მოუგო ლებედევს, პიმენოვმა — ბასტრიკოვს. ვასიუკოვ-კორჩნოის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ორი გამარჯვება მოიპოვა კოტოვმა — სუეტინთან და მოისეევთან. ძლიერად ითამაშა შიშოვმა, რომელმაც პარტია ტარასოვთან მოგებამდე მიიყვანა. კორჩნოიმ მოუგო ხალილბეილის, ხალილბეილი-ბანიკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. კასპარიანმა დაამარცხა ბანიკი და ვისტანეცკისი. ანტოშინმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა მოკაციანთან, მოისეევმა — ლილიენტალთან. ილივიცკი დამარცხდა ვასიუკოვთან. ყაიმით დამთავრდა სუეტინ-სოკოლსკისა და ლებედევ-ბასტრიკოვის პარტიები.

თხუთმეტი ტურის შემდეგ წინ არიან ა. კოტოვი — 11 ქულა, ანტოშინი — 10,5, კორჩნოი — 9,5. შიშოვსა და გურგენიძეს 7,5-7,5 ქულა აქვთ.

ა. ბუსლაევი,
ოსტატობის კანდიდატი.

ალექსანდრა ჯაფარიძე უშბაზე

◆

ნიკოლოზ ტიხონოვი,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

◆

როდესაც მთვარის სხივთა მარმაში
ყინვის სარკიდან ცისკენ წაიწევს, —
ფიქრში წასული, მე ვხედავ მაშინ
უშბის კედელზე მდგარ ჯაფარიძეს.
ვხედავ: სიცივეს ჩაკვრია მკერდში,
თოკმოხვეული ჩაჰყურებს ხევებს...
კედელი ცისკენ მიიწევს ბნელში
და მთები გვანან დახოცილ დევებს.
— გთხოვთ მოწიწებით, — ასული ამბობს,
მწუხრის ბურუსში მდგარი ამაყად, —
დაეშვით დაბლა, ტოლნო და ძმაო,
მარტო დამტოვეთ კლდეზე ამაღამ.
ვერ მოვთავსდებით აქ ყველა ერთად,
მთის ძირს მელოდეთ, მოგმართავთ ყველას.
გათენებისას დაბრუნდით ჩემთან,
რომ შევუტიოთ მრისხანე მწვერვალს.
დასტოვეს!..
და შორს ქარი აყივლდა,
ღამის სიბნელე კლდეებს მიადგა,
შემდეგ ცის ლურჯი, სუფთა სარკიდან
გამოანათა მთვარემ ზვიადად.
მაღალი მთები, ვით მირაჟები,
წამოიმართნენ ჰაერში ცერად, —
თითქოს შეჰკრესო ვეება მხრებით
ჯოჯოხეთური ყინულთა ცვენა.
ირგვლივ ყოველი დადუმდა წამით, —
თითქოს პირველად მთვარე იხილეს.

დროდადრო მხოლოდ ზვავების გრგვინვა
აკრთობდა ქედებს, ცაზე მიყრილებს.
შემდეგ: მინებდა ზმანების ძახილს
და ძილის ბურანს გაჰყვა ასული:
შორს, იმერეთში, გამოჩნდა სახლი —
ვარდყვავილების ყდაში ჩასმული.
ძმები ლაღობენ, ეზოა ჭრელი,
აგერ სიმონი დაეცა, ხედავს.
წევს დამსხვრეული ყინულის მჭრელი
და თოვლზე თეთრი გამოჩნდა დედა...
— ალექსანდრეო! — სიზმარში ყვირის,
გაეღვიძება, ცრემლებს იმშრალებს,
მოსჩანს უფსკრული დაღებულ პირით
და შეჰპარვია მთვარეს სიშავე.
ყინვის წვეთები ცრემლად ციმციმებს
ქიმიდან ცივად ჩამომდინარი.

და ყინულოვან ხელის სიცივეს
მხრებზე დაადებს ასულს მყინვარი.
თოვლში ორი ძმა ჭიდაობს ისევ,
სიმონს შესძახებს და გამწარებით:
— გთხოვ ალიოშას მოეშვი, სიმონ,
არ წამიქციო, გემუდარები!..
რბიან წუთები, უსასრულონი,
და ესიზმრება ქართველთა მხარეს:
ქალი, სიმხნევით ვაჟკაცის ტოლი,
მთიდან პირველი დასცქერის ღამეს...
აქ — ცივი ქარი დაიძრა როკვით,
გარიჟრაჟების ფერნი აშალა.
შეჰხორცებია სიცივეს თოკი —
დაკიდებული კლდეზე გზაშარად.
ცამ დილის შუქი მიიკრა გულთან,
ბნელს გათენების ცეცხლი ედება.

კვლავ დაუბრუნდათ მწვერვალებს სუნთქვა
და შედუღაბდნენ ტინის კედლებად.
და პირველ ზვავთა პირველი ბუქი
აეშვა ცისკენ, გულის ამნთები,
ვით ამოსუნთქვა აისის შუქით
გაღვიძებული გოლიათების.
დღეს ალექსანდრა! ყინულის ჭკვეთელს
მწვერვალთან მედგრად შებმა მოელის.
შუქი მიადგა ციცაბო კედელს,
ნათლად გამოჩნდა ბზარი ყოველი.
მთაო, ზვიადად ამაოდ უმზერ,
ის მაინც დასძლევს შენს მრისხანებას.
მალე ღიმილით შენს ბებერ შუბლზე
პირველი ქალი აღიმართება.
წინსვლა მთასვლელის წმინდა ვალია,
მან იცის ბრძოლა თავგამეტებით.
თვითონ ცხოვრებაც ხომ მწვერვალია,
რომელსაც ვიღებთ მუდამ შეტევით.
მთისაკენ სხვებიც დაიძრნენ ნელა
და ქროლა იგრძნეს მთათა კალთებმა,
დღეს ალექსანდრა, უღიმის ყველას:
— რა მშვენიერი დილა გათენდა...

თარგმნა **ოთარ კუპრავამ**

რედაქტორი **ი. უგულავა**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3 89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3 90 34, მორიგისა და გამოშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14.

უე 15471